

ლექსთა კრება

კოლხიდელისა

III (გრიგოლ დადიანის)

თ ამაგი 373) წითელი


გამოცემა ვარლ. ჭილაძისა.



1890

თბილისი. 1901.

3. ჭილაძისა დ პმ. „მომუზციული“ საბეჭდავი.



କର୍ମଚାରୀ

მექსთა კლება

1919

კოლხიდელისა

(გრიგოლ ღარიანის) =

= უგ. თუ ზოგი ხურ = მც
ნებრები ხორ.

34145

გამოვემა ვართ. ჭილაძისა.



გუთა 1901.

ვ. ჭილაძისა ჭ ამს. „ძომერციული“ საბეჭდავი.

Дозволено Цензурою, Тифлисъ, 9 Сентября, 1900 г.

ა. ჯიბ



რუსის პრამოლა *)

 აყითის ნათესავთაგან ფლობდა იმერეთს ცხებული,
სოლომონ მეფე მამაცი, გმირი პომპეად გებული,
ზარ მცემი, მტერთა მომსვრელი, სიმართლით დვთაებრ ქებული,
და ქვეშევრდომთ მამა მფართველი, სიბრძნე-სიმდაბლით შვებული.

დღესა ნათელსა, ოდესკა მზემან შესძინა ციალი,
მეფემან ბრძანა ლხინობა, ლაშქართა შექმნეს გრიალი,
ზაშალეს სმა და პურობა, იყო თასებთა ფრიალი
და ისმოდა წინწილ-ებანთა და მუსიკათა ზრიალი.

ამა დროს მოვა მეგრელი, თავსა დაუკრავს მაღალსა,
მტყვას: ძოლხიდის მთვარი მოკითხვას გიძლვნის მრავალსა,
ზაცნობებს გაჭირვებასა, ძესაროსისებრ მავალსა
და მტერი მოადგა, მეფეს გთხოვს ხრესილის ჩეუბის ნაცვალსა».

მეფე აენთო ვით ცეცხლი, ნახა რა ამის მთქმელია,
ჰკითხა: «მეგრელო, ვინ არის სარწმუნოების მგმელია,
არ აღმასრულო სჯულისა, მშეიღობათარე მშლელია,
და მაცია დადიანისა და ძოლხიდელთა მკვლელია?»

მან მოახსენა: «სადაცა ცხვარი ოქტოხი ბუდობდა,
ცაცხვის ქვეშ ლამაზ გორაზედ მწვანით მინდორი ლხინობდა,

*) პირველად დაიბეჭდა დავით ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში 184 წ.,
მოანე ზეგეძეორის სახელით.

[1] 8

ა. ჯიბ

ჭაჩხურის კალმახს საკვირველს ლაშხია¹⁾ მთავარს უძღნობდა, და მეგრელთ ღილინსა, შექცევას იქვეონებ კლდეცა იგრძნობდა.

რა განვსცხოვებოდით, ვიშვებდით, კაცი მოიჭრა ბრძანებელნი, მთავარს მოართვა ამბავი: ჯარი მოდგაო მომსვრელი, ტრმოც ათასად შემდგარი, ოდიშთ დაპყრობის მძებნელი, და ჩერქესი, ჯიქი, ალანი, აფხაზი ღამის მთენელი,

ოთხ ძმათა შარვაშიძეთო შერი შეექმნათ მრავალად, ჟელეშბეგს, ზურაბს, ბექირბეგს და ერთს უხმობენ ლევანად, მეგრელთ შექცევა, განცხრომა გულთ მიეცათო ვალალად და იხმეს ყოველნი მთის ხალხნი, კაცი გზავნესო მთა-გვალად.

მოიჭრენ ისნი ვით მხეცნი ქრისტიანეთა დამკვლელად, შარაჩთ ხლებითა სასტიკთა, ბოლხილის ერთა მჰყრობელად, მნგური ჰუმანეს, მოვიდენ დაღიანთ სისხლის დამღვრელად, და რუხი შეიცვეს, გვადგანო „ვაითარირას“²⁾ მღერელად.

აიჭრა იმ წუთს მთავარი, რა ესმა ესე ვითარი, ზაგზავნა ყოველგნით ჯართმკრები, აწ მე არ ვიცი ვითარი, მე გამომგზავნა თქვენს წინა, მან დღეს გიშოდათ თქვენ ჯვარი, და რათა მოიქცე, მეფეო, ვითა მოითხოვს დღეს გვარი.“

მტყვის: „მეგრელო, ნუ სწუხხარ, მე წარვემართო ხვალია.“ ბრძანებს: „მებრძოლთა მათ თხათა მე დავუბნიო კვალია.“ ლაშქართ კრებანი მსწრაფლ ბრძანა, აანთო ცეცხლებრ თვალია; და აღტყინდა ვითა სახმილი, გული უძს, ვითა რვალია.

1) ჭაჩხურის კალმახს საკვირველს ტაბაკზედ დება შვენოდა, მარჯნის ფერ ხალით შემცულსა სიყვითლე გარდაფენიდა, მწყაზარს სიგრძესა მშვენიერს სიმსუქნის ზეთი სწორდა, გემო ტურფისა საცვიფრო ზარმაცს ლაშხიას სწყენოდა.

2) ვაითარირა—აფხაზური სიმღერაა.

გათავდა სმა და პურობა, განცხრომა შინა იმერთა
მეფემ უბრძანა წერეთელს ლაშქართ შეკრება ძლიერთა;
მან ფიცხლად იქავ შეკრიბა, ვნახე ქადილი იმერთა,
და აღმართვა მჭრელის კალდიმის ზემო მხრებთაგან ხმიერთა,

მეფემ უბრძანა ლაშქარსა: „კარგათ იცით ჩემი გული,
ხრესილის ჩხუბის ნაცვალს მთხოვს დადიანი დიდი სული,
სით მამაცმან გულოვანმან, მას დღეს მომცა ფაშა ბმული,
და წერეთელო, შენ აწი სთქვი მეგრელთაგან ხრესილს ქმნული.

„მეფეო, თქვენს თავს ვიფიცავ, მეგრელნი მამაცობდიან,
ხრესილს ოდესუა იმერნი თვისს გმირსა თავსა გმობდიან,
სპანი ძოლხიდის ჩვენთანა მათსა სიცოცხლეს სთმობდიან,
და ჩიქვანი ვაღავებითურთ: „ჰერ, მოჰყალ, შეჰყარ!“ ხმობდიან.

არ დაშთომილა არც ერთი, მტერთა არ ეცეს ხრმალია,
თავადნი და აზნაურნი, არცა, მე ვგონებ, გვალია,
ბრძანებას თქვენსას ერჩდიან ვითა ქვეშევრდომთ ვალია,
და მტერთ კვლიდენ, ჩეხდენ და სწვიდენ, ვითა სახმილის ალია.“

მსელა რა სთქვა სარდალმან, ჯარილა იზამს ყრილობას,
იტყვიან: „დადიანიცა ჩვენში ვერ ნახავს გრილობას,
სიცოცხლე ჰქონდეს მეფესა, ჩვენ არ ვაჩვენებთ წბილობას,
და ჩვენ გამოვიჩენთ ჩვენს ნამუსს და იმერეთის შვილობას.“

თრთოლვიდენ ბრძოლის სურვილით, ისმოდა ძეწკვთა ჩხრიალი,
მეფესა სთხოვდენ წასვლასა, იყო ამაზედ ხრიალი,
გით მშიერთ მგელთა კრებულთა იყო საზარო ღრიალი,
და მე-ლა შევნიშნე მათარის მათის კალდიმზე ფრიალი.

ბრძანა მეფემან: „მე ვიცი ჯანი იმერთა ჯარისა,
რა საჭიროა ბევრი თქმა, მოვლა ვჰქნათ ოდიშთ არისა!“

თეთრსა ცხენზედა აღმხელრდა, ჰშვენის აღება ფარისა,
და ყურთმაჯი გარდაგდებული დაშვენდა ლირსად ვვარისა.

მობრძანდა მეფე სოლომონ „მარანსა“, სახელდებულსა,
შბრძანა იქა მცხოვრებთა და შეგრელს მასთან რებულსა:
„ზეგისწინ მტკრთა ვაჩვენებ იმერთა ჩხუბსა ნოებულსა,
და გარნა მსურს მალვით ვესტუმრო კაცია ცეცხლ-მოდებულსა,

არა სცნას იმან, ამას გთხოვსთ მეფე გულმოდგინებით,
შცებ ვესტუმრო, მივიდე ვაი-ვაგლახით, გინებით,
დავუგმო განკარგულება და მასპინძლობა ცინებით,
და ვარქვა: პურშავო კაციავ! შენ ვერ კმასა გვყოფ ლხინებით..

გარნა ვით იქმნეს დუშილი საზარო ქუხილთ ბგერისა,
შითარ მუნჯ იქმნეს სოფელში უბნობა და ხმა ერისა,
შყისვე მოხსენდა მთავარსა მოსვლა მომსვრელთა მტკრისა,
და წარვიდა მისაგებებლად, ისმის ხმა ლაშქართ მღერისა.

ათასის კაცით რჩეულით მთავარი მიეგებოდა,
ზიორგი, ძმა საყვარელი, მას მარჯვნითარე ხლებოდა,
სიძე ცოლის ძმით შეკრითა ყოველი მტერი კვდებოდა.
და გაზაფხულისა მოსვლითა ზამთრისა ყინვა ღნებოდა.

მეფე ეტყვის დადიანსა: „იმერნი ჩხუბის მდომია,
შაჩვენე სად არნ მებრძოლნი, რათა ვაჩვენო ომია,
ალვუნთო ცეცხლი, ვაცეკვო და ვჰყო ტყესშიგან მძრომია,
და ხრესილის ნაცვალს გარდგიხდი, თულა ნამუსი მქონია.“

—, მეფეო, იყავ ბედნიერ, აღისპოს მტერნი შენია!
შტერნი ახლოს არინ, რუხს დგანან აფხაზთ, ჩერქეზთა ძენია.,
შაგრამ ჯერ ზუგდიდს მობრძანდი, ეს მოწყალება ჰშვენია
და რათა გალხინო პირველად მეფე სიკეთის მფენია.“

გალიმდა მეფე, რა ესმა ლხინისა მოვონებანი,
უთხრა: „მთავარო, შემინდევ, არ არის ჩემი ნებანი,
მინდოდა მალვით გსტუმროდი, წამიხდა ხელოვნებანი,
და რადგან შეიტყვე, არ მოვალ, სჯობს ჩხუბთა აღრე ნოებანი.

შენის თხოვნისა ყოველთვის მზადა ვარ აღმასრულებლად,
მაგრამ მე ჯერ გთხოვ, წარვიდეთ ჩვენთ მტერთა აღსასრულებლად
მერმე მოვიქცეთ ორნივე ზუგდიდსა საღილინებლად.
და დავსხდეთ ცაცხვის ქვეშ ტახტზედა „ოჯალის“ საკიკინებლად.

დამორჩილდა დადიანი, რუხისკენ ვლეს გზა არ დიდი,
მეგრელთ ბანაკში ჩამოხდენ, რომ შეიქმნა ლამის ბინდი,
ძლვა იყო ძროხა-თხა-ცხვართა, ლხინი შეიქმნა არ ფლიდი,
და სთქვა იმერლებში თათრული „ოჯალეშმან! ჰეი გიდი!“

რა დღე გათენდა მეორე, მტრის მოლა იძახოდიან,
იმერნი ამის მსმენელნი თხოვნით ბრძოლასა ხმობდიან,
ვით ტანი ამპარტაცნულად მტერთზედა იჩარჩოდიან,
და მეგრელნი ამის მჭვრეტელნი ლიმილით იცინოდიან!

მეგრელთ არააქვსთ სრულიად დამჩემებელი გულია,
მაგრამ მათ შორის გმირობა სიმღაბლისთანვე რგულია,
მოწიწებითა დადიან მარდნი, მხნეობით სრულია
და იცინიან ტრაბახობაზედ ვითა უმანკო სულია.

შეკვარან მათი პატრონი, მარადის მისთვის კვდებიან,
სტუმრის პატივით ქებულნი მისთვის ერთგულად შთებიან,
მოლალატეთა და ურჩთა ვით ცეცხლი მოენთებიან,
და ერთგულთა მისთა მორჩილთა მეგობრად ეჩვენებიან.

მსენი არას ამბობდენ, ჩხუბს რომ ითხოვენ იმერნი,
შეექცეოდენ ღილინსა თოფის მარადის ხელთ მჭერნი.

მეფებან ბრძანა:,, მეგრელნო, მიიღეთ ჩემგან ეს ფერნი: და მხარ-ლლივ იქონეთ ბაშლაყუ, რომ განვარჩიოთ ჩვენ მტკრნი.

იჯდა შელეშბეგ ზარმაცად ჩიბუხის პირში ჭერითა, იგვრწივ მონანი თავს ადგნენ ხელდაჭდობილნი მზერითა, იხედებოდა ამაყად ამპარტავანი წვერითა, და სოქვა: „ვგონებ, ძმაი აქ მოდის ბექირბეგ გულის ძგერითა!“

ბექირბეგ წინა წარმოდგა, გული უძს ვითა სალია, ძმას უთხრა:,, მტერნი ლხინობენ, მომატებიათ ძალია, იქმნება მეფე მოვიდა, ხოლომონ ცეცხლის ალია, და გავგზავნოთ კაცი დამხედი, ესე მებრძოლთა ვალია.“

მონათა ეტყვის გასვლასა შელეშბეგ ხელის ქნევითა, იტყვის თუ: „სწორედ მეფეა, ვიბძარებიცა სმენითა.“ ამა დროს ზურაბ და ლევან მოვიდენ ჰსწრაფლად რბენითა და ჰსოქვეს, რომელ „მეფე მოსულა იმერეთისა ერითა.“

მრთმან აფხაზმან მოგვართვა იმბავი ესე ყოველი: თეთრის ჩოხითა მეფეო თეთრზედა იყო მჯდომელი, დადიანს მიგსალამა მოხმარებისა მნდომელი, და ჯარი ურიცხვი ახლავსო ბრძოლის სურვილით მხლტომელი.

რა მოისმინა შელეშბეგ, სოქვა თვისის მცონარებითა: „ძმანო, თათბირი დავიწყოთ“, ფერი ჰკრთა მთრთოლარებითა: ძაცი გავგზავნოთ მეფისად, მუნ უთხრას მძრწოლარებითა: და შერიგება გვსურს, თუმც უნდა, იფიქროს თვისის კრებითა.

ჩვეულებითა, ოქვენც იცით, ელჩნი მეფესთან დგებიან, გეზირ-სარდალნი, დიდ სქესნი მუნ ერთად შემოკრბებიან, გაზრდილობითა სავსენი ცხებულის წინა სხდებიან და მაღალიც რომ სოქვან რაიმე, სჯულია, იქ არ ჰვდებიან.

ამისთვის სჯობს რომ წარვგზავნოთ ელჩი წინ წარსადგომელად,
ჟენიშნოთ: ოდეს მეფესთან იქმნეს აფხაზი მდგომელად,
მოვუწყოთ მათ ზარბაზანი მათის სისხლისა მწდომელად,
და ვესროლოთ, ვიქმნეთ მეფისა და დადიანის მკდომელად.

თუმც მოყვალით დადიანი და მეფე მისი სტუმარი,
ჭავობითა ყოველნი დაშთებიანმცა მძუმარი
ჰართ აღვხოცთ, ავკრებთ, შევიპყრობთ, შეიქმნებიან უხმარი,
და რამე თუ სჯობდეს, თქვენა სთქვით, მე შევიქმნები მჩუმარი“

ლევან და ზურაბ იტყვიან: “დავასკვნათ ესე რჩევაო,
ამითი სწორედ შეგვრჩების მეფის და მთავრის ძლევაო,
ჩვენ გავგზავნოთ შარდია, არ ვარგა სიტყვის ლევაო,
და არც დაგვაკლდების სრულიად შარდიასა მკვლევაო.“

ბექირბეგ გმირი მსმენელი იწოდა, ესმა მუხთლობა,
სთქვა: „გმირთ მამაცთა წესია ბრძოლა, ფიცხელი გულობა,
არ მომწონს ჩემთა ძმათავან ამა რჩევისა თქმულობა,
და არც არის პატიოსნება მტრისა მუხთლობით მკვლელობა.“

პატიოსანთა მებრძოლთა უნდა თან ეპყრასთ პირია,
შეტადრე მეფე, მთავარი, სადაც ჩხუბობენ გმირია,
ხძლიონ ერთმანერთს ბრძოლითა, გარდასწყდეს ამით ჭირია,
და რა საჭიროა მუხთლობა, სიმხდლე სისუსტის ძირია.

ორმოც ათასი ჯარი გვყავს, თუ ითქმის, უძლეველია,
წინა ნამუსი მიგველის, აპა ბრძოლისა ველია,
ჰამოჩნდეს იქა ძალ-გული და პირი ხრმალთა მჭრელია,
და თორემ მუხთლობა რას ვარგა, ლაპარაკიცა ძნელია.“

ხელი გარდივლო ულგაშეედ შელშბეგ დაფიქრებულმან,
შთხრა: „კარგი სთქვი, ბექირბეგ, მამაცობითა ქებულმან,

ბაგრამ გთხოვ, მე დამიჯერო. სიმხნითა განლაღებულმან,
და დავასკვნათ ჩემი თათბირი, თავი წარმწყმიდოს რებულმან.

თუცა შენ ამბობ სიმუხთლედ ჩემგან ამისა რჩევასა,
ბაგრამ არ არის მუხთლობა, ესე სჯობია ნგრევასა,
მტერთ მოტყუებას აქებენ და ხელოვნურად ძლევასა,
და თორემ რა მგამა, ვუყურო ჯაჭვთა, ჩაჩნდა მტვრევასა.“

დამორჩილდება ბეჭირბეგ ვაი ვაგლახით და ძალად
მტყვის-ყე: „თქვენი ნებაა!“ — აღტყინებული ცეცხლ-ალად,
თანად წყრწეტი მამაცი, ვინ დაიწუნოს ის თვალად,
და მერმე შელშებეგ წარმოსდგა, ფეხი ჩაადგა ფოსტალად.

ბანცხრომით დასუსტებულმან სთქვა: ბანაკს წასვლამსურისო,
რასა ამბობენ დღეს სპანი, მიგდებაა ხამს ყურისო,
ზაგზავნა უჩარდიასი, ვით ირემს წყარო, მშყურისო
და რა რომ შევიტყე მოსვლად სოლომონ მხნე გაურისო.“

• მივიღენ ბანაკს, სადაცა თოფები იფერებოდა,
ფაცხის კარავნი ნაბდითა, ბაშლაყუთ ითეთრებოდა,
ხანჯალი, ხრმალი, ისარი სასტიკად იღესებოდა,
და კიუინით თოფი, ტამბაჩა ნიშანზედ იმართებოდა.

აღრეულ ამა ბანაკში იყო აბხაზთა ჭყურტული,
შარაჩნი, ჯიქნი, ალანნი იყვნენ საბრძოლად მორთული
ამბობდენ ფერ მკრთალ ცქერითა: „მეფე მოსულა ლომ-გული,
დავისაც შეიპყრობს ლორსა ჭმევს, ესრედა ქვს თურმემას სჯული.“

ჩუმ-ჩუმ ფურჩელით აფხაზნი, ვით თხანი, დაცქრიალობდენ,
ვიღოდენ იქით და აქეთ, ჩხუბისათვისცა მკრთალობდენ,
ძრწოდენ ვით ჩიტნი ბაღნარში, ქორისგან ვერა მლერობდენ
და მე არ განვაგრძობ, აწ ვიტყვი: იგინი ცოტა ფრთხალობდენ

ამ დროს ბეჭირბეგ ძახილით ბრძანებს: „შელეშბეგ აქ არის?“
ხმა ჯარსა შიგან გახდება, მაგრამ სიჩუმე სად არის?
მოვიდეს უჩარდია, ელჩად გაგზავნა თქმა არის,
და მოძებნეს იმ წუთს აფხაზი, წარმოდგა ფიცხლად, მზა არის.

შელეშბეგ აფხაზს უბრძანებს, ეტყვის: „შენ წადი საჩქაროდ,
უთხარ კაცია დაღიანს სალამ-ქალამი საკმაროდ,
ჩვენ თუმცა აქა მოვედით საჩხუბრად და საომარად
და მაგრამ გვწადს დღეს შერიგება, მშვიდობასა ვსოთხოვ საჯაროდ.

არ გვეშინიან, მანც იცის, ჯარი გვყავს უთვალავია
ბანდულის რკინით ჩაცმული ჩერქეზი ჩხუბში ავია,
ისარ-მშვილდოსან მამაცი მარდად მქნევი აქვს მკლავია
და მაგრამ მეფის გვსურს პატივი მისთვისლა გთხოვეთ ზავია“.

რა მოისმინა აფხაზმან, ელჩად გამომეტებულმან
ორის კაცითა გაქუსლა სიმხნე-სიფიცხე კლებულმან,
სთქვა: „ვით მივიდე, ვითა ვქმნა უბედლომ ყოვლთვის ვებულმან,
და იქნება მომკლას შისვლასვე მეგრელმან სიმხნე ხლებულმან“.

წარვიდა რა უჩარდია, შელეშბეგ იხმარს ლონეთა,
იტყვის, მოილონ ზარბაზნი ბაშლაყუს თავზედ მქონეთა.
მოიღეს, მყისვე მოაწყვეს უაშისა არა მყონეთა,
და ყრილობა შექმნეს ლაშქართა დღესა მას ჩხუბის მგონეთა.

ბრძანებს კვალად, რომ,, დაეწყონ მებრძოლნისაბრძოლველადო,
ბიქირბეგ მარჯვნით სარდლობდეს მომსვრელად, სახმილ-მწვე-
ლადო,
მარცხნით ზურაბ და ლევანი მართავდენ ჯართა ველადო,
და მე საშვალს აღგილს შევიტავ, ვითა მიქნია ძველადო.

ზათავდა მყისად ბრძანება, აღიგსო სრულად ველია,
შეთოფჩე თათარს უბრძანებს: „შენიშნე ელჩად მვლელია.“

თვითონ აიღებს დურბინდსა, უცქერს მაცდური შელთა,
და სთქვა: „ახლოს არის მტერზედა შერიგებისა მთქმელია“.

შენიშნავს, რომ შჩარდია მტერს უყივის ვითა ხელი:
„მეწინავენო, გამიშვით, ჩხუბი არ არის დამწველი,
დადიანი მინდა ვნახო, ვუთხრა ამბავი ჯართ მცველი,
და შეატყობინეთ, აცნობეთ, ელჩად მომგზავნეს მომსვლელი,

შძახის პასუხს ჩიქვანი, მეწინავე მეგრელთ ჯარის,
ანთებული ცეცხლებრ მწველი, შერიგების მთქმელი ვარის:
„ვით გამედე, ვითა მოლი, ვით ჰქმენ ნახვა ჩვენის არის
და გადიკარგე, მკერდ-ფხანიავ, ჩიქვანი ვარ ვეფხის გვარის.“

აფხაზი შეკრთა, შეშინდა, ყივის: „უთხარით სარდალსა,
მხოლოდ ვაცნობებ დადიანს ამბავსა კარგსა, მართალსა
მლჩად მოვედი, ერთი ვარ, ავიხოვ თქვენს წინ მე თვალსა,
და შჩარდია ვარ, თქვენც მიცნობთ, ვერ დავიკვეხებ მე ძალსა.“

ზულსა ფიცხელსა მდაბალი სიტყვა ჰყოფს დამდაბლებულად.
ჩიქვანი აფხაზის უძახის: „დადეჭი, ნუ ხარ ვებულად.
რაღან ასრეა, ვაცნობებ, ერთი წარვიდა ქებულად,
და აცნობა სარდალს: „აფხაზი ელჩად არს ახლოს ხლებულად“,

მტყვის: „იძახის საწყალი: უთხარით სარდალს თქვენსაო,
შჩარდია ვარ ნაცნობი, არას წარვიღებ თქვენსაო,
მთავარს ვაცნობებ კარგს ამბავს, არ მოგიხდებით თქვენსაო,
და ელჩად ვარ გამოგზავნილი, გაცნობებთ ამბავს ჩვენსაო“.

რა მოისმინა სარდალმან, წარვიდა გამოცდილია,
წარდგა მთავართან ტან-სარო, ლერწამი ედემს ზრდილია,
აცნობა: „შჩარდია ელჩად მოსულა დილია,
და ვითარ გვიბრძანებ, რაი ვჰყოთ, აკრთობს მეგრელთა ჩრდილია.“

მთავარი მეფეს აცნობებს, ორნივ ბრძანებენ შვებულია: „მოვიდეს ახლავ, ნუ დრტვინავს შჩარდიაი ვეზული.“ ხმა იმერლებში გახდება, ელჩი არისო რებული და იტყვიან: „აქა ვით ვნახოთ აფხაზი ამტერებული!“

აცნობეს შჩარდიასა: „მოდი, ნება გცეს მოსრულსა.“ შემოვა ჯარში, იხილავს წყობილობასა თვით სრულსა, ზანკვირვებითა უცქერის კალდიმს წელზედა მოკრულსა და ძეწკვითდახლათულს იმერლებს მტერთაზარმცემად მორთულსა

შარდგება მეფე მთავართან, ეტყვის ამბავთა მრთმელობას, ამბობს თვისით ლაშქართ ქებასა და გამარჯვების ძნელობას... ამდროს ზარბაზანი განსწყვეტს მისის ნებისა მქნელობას, და ხმა დიდი, ქუხვა და ბგერა ლაშქართა მისცემს მშლელობას.

ოთხის და ხუთის მომკვლელი ტყვია მეფის წინ დავარდა, მხილველი ამის მგზებარე მეფე მკვირცხლიად ავარდა, მღებისა საწყალსა უმანკოს თავი კინაღამ წავარდა და მაგრამ მეფემან დაიცვა, მის მაღლში ამით შთავარდა.

ბრძანა: „აფხაზო, გინდოდათ მოგეკალით ჩვენ მუხთლობით, მაგრამ ლერთმან მოგვარჩინა, ვნახოთ, ვინ სჯობს დღეს გულობით წალი, ახლავ გამეცალე, მე არ მოგვლავ დიდ-სულმბით, და ბეჭირბეგს უთხარ შამომხვდეს შავის ვიქმნები ცმულობით.“

შავი ჩოხა მოითხოვა, ბრდლვინავს ვითა ფიცხი ლომი, ბრძანებს: „იმერნო, დღეს ვსცადოთ ხრმალი ჩვენი სისხლთა მწ-თომი.“ აფხაზი მყისვე გაიქცა შიშით—კანკალ—ძრწოლით მძრომი, და მეფე შავზედა აღმხედრდა მამაცი და ვეფხებრ მწყრომი.

ჭარი იმერთა წარვიდა და მეფე წინა მძლოშელი, დადიანს უკვირს, იფიქრა: „ გამექცა მეფე მწყრომელი!“

ჯარი დაწყო, ვითა ჰესმს, ლურჯზედა იქმნა მჯდომელი,
და რათა ოღმოსპოს აფხაზინი და ჰყოს რიყეში მძრომელი.

რა დაწყობილკუო მებრძოლნი, ჰსონევი მერმე ზესთ არსებას:
„მიიღე მსხვერპლად მტერია კვლა, მეგრელთნუ უსპობ არსებას
დაგვიცევ ქრისტიანენი, სიცოცხლე ჩვენი არსებას
და თათარს ნუ მისცემ, ძლიერო, ზუგდიდის ტახტზედ ხარებას.“

„შემდგომად ბრძანებს: „მივმართოთ, გახდება ჯართა გრიალი,
იქმნება აღრეულობით „სარალო ბეგზედ“ ტრიალი,
ბაჯჯართ ჩხრიალი, ხრიალი და მათრახებთა წრიალი
და შეეცრებიან აფხაზთა, ვნახოთ მეგრელთა ბრიალი“.“

„აენთო ცეცხლი, აენთო ვითა სახმილი წველია,
კვჭწმან ჭექითა ღრუბელებრ მოიცვა ტყე და ველია,
იყო ძაბილი ვით ბგერა: „მოჰკალ აფხაზი მკვლელია!“
და ჩიქვანთა ხრმალი ელვიდა აფხაზთ რაზმშიგან მვლელია.

მაშინ ვხედვიდი ფალავის, ჩერქეზის რომ ხმალსა დაჲკრევდა,
ძუდი რკინისა სამოსი მტრის ხორცია ვერ უფარევდა,
ბანდულს რკინასა და ხორცია ვით ლომი, ვეფხვი ბძარევდა,
და მისი სიფიცხე დამწველი მტრის რკინას ძალსა ჰპარევდა.

ამა დროს ცეცხლი გამოჩნდა მარტენით აღტყინებული,
თურმე მეფემან მამაცმან მტერს უყო ხერხი ქებული,
ზარს მოუყარა მარჯვენით, შეიქმნა ბრძოლა ნთებული,
და იყო კივილი აფხაზთა, შეიქმნენ ღონე კლებული.

მას მიუბრუნდა საჩხუბრად ბეჭირბეგ ბრძოლის დამკვეხი,
შეიქმნა ხრმალთა, ისართა გმერა, კვლა, ჩეხა ზარ-მტეხი,
პვედება იმცრი, ჩერქეზი, აფაქიძეცა—მტერთ მეხი,
და სიმხნისა ბედმან და სვემან, ვნახოთ, ვინა ჰყოს გამტეხი..

ჩერქეზი იმერს უხდება, დგებია შარაჩს უძახის,
მომანეთისა არევით გამოდის ხმაი ვაგლახის,
ფრინვენ ისარნი, ტყვიანი, „მოჰკალი!“ ხმაა ჯავახის,
და ისმის იქიდგან იმერთა საშინელება ტრაბახის.

ტყდება ჩაჩქანი, ხელნავი და იმერლებთა ხრმალია,
შელეშბეგ უკან იწევა, ის დედაბერი მთხალია,
ჩიჩუა მისჭრის ხრმალითა, წაუხდა თოფის ფალია,
და ბექირბეგ მარცხნით იწევა, მარჯვნით არა აქვს ძალია.

შეფე თვით იბრძვის, მტერთ მისჭრის, უძახის წითელ მოსილსა
ბექირბეგს, კარგსა მამაცსა, ლერწამისამებრ მოზღილსა:
„შამომიცალე, კაბუკო, ხრმალი გიჩვენო მოცდილსა;“
და მაგრამ შორს იბრძვის, არ ესმის, ჰგავს ღონე-ძალა მოხდილსა.

დადიანი მარდად მქნევი მოეწია ერთსა ჩერქეს,
ხრმალი ომ ჰყრა, ბედსა ვფიცავ, იმერლებმა ასე აქეს:
„არ გვინახავს უკეთესი!“, ქება უთხრეს ლომებრ აგეს;
და მთავრის ქებით იმერლებმა მეგრელები გააშმაგეს.

პირივნენ აფხაზები, ძალა არ ჰქონდათ მეტია,
აღარ ვახსენებ შელეშბეგს, ზურაბ და ლევან მეტია,
ბექირბეგ ბრძოლით იწევა, ვით ვეფხი სისხლის მხვრეტია;
და მეფე იძახის: „ჰკა მაგას!“ მტერთა გაქცევის მჭვრეტია.

ველარ დაუდგნენ, გაიქცნენ, მირბოდენ ვითა თხანია,
ჩიქვანი ფიცხი წამოწვდა, არ უყოვნია ხანია,
მიკვლიდა, ჩეხდა, ხალთვიდა, უჭვრეტს იმერთა ხანია
და მის ნაკრავს ვერ გარდაურჩა აფხაზი თავი-ფხანია.

მსრეთ დაფანტეს, დახოცეს, ზოგი ენგურსა გაცურვენ,
მაგრამ იმერნი თვისსა ხრმალს აწი სისხლით სვრილს იურვენ,

აფხაზი ხეზედ მიკრულნი მწუხარეს ცრემლსა იწურვენ
და ეგრეთ მეგრელნი ბაშლაყუს და მტრისა ნაბადს იხურვენ.

აწი შემოხვდა მეფეი დადიანს გამარჯვებულსა,
პირსა ჰელცინიან ერთმანერთს, ვეონებ არ გვანან ვებულსა,
უქებენ ერთი მეორეს ხრმალსა სისხლითა ღებულსა,
და ხარობენ სიძე ცოლის-ძმა, ხედვენ რა მტერსა ძებულსა.

დადიანი ჰმადლობს მეფეს შთამომავლობით მგრძნობელი,
დაბრუნდებიან ორნივე, გამარჯვებისა მცნობელი,
წყაროს პირს ჩამოხდებიან ჟელეშეგისა მგმობელი,
და აქებენ წითლით მოსილსა, მეფე რომ იყო მხმობელი.

შემოკრბებიან იმერნი და მათთან მეგრელებია,
მეგრელნი მეფეს ულოცვენ, დადიანს—იმერლებია,
ძალთა, ხელები და მკერდი სისხლით აქვთ გასვრილებია,
და ზოგს თავი შოაქვს, ზოგს ხელი, საზარლად დაჭრილებია.

აზნაურნი ტახტისანი ზარბაზანთ მოათრევდიან,
იმახოდიან „ხაბარდას“, შილინგით გარს მოსდევდიან,
გით ბურთსა მოთამაშენი მტერთა თავს მოაგდებდიან,
და დაჭრილობითა სავსენი ბატონსა ულოცვედიან.

არ დარჩენილა არც ერთი, რომ არ ექმნას სახელია
თავაღნი და აზნაურნი, არცა კარვისა მცველია,
უველას მოჰყავდა ორ-რი აფხაზი თავის მგმელია;
დჟესრეთ გარდაწყდარუხს ბრძოლასას ტიკი ცეცხლებრ მწველია.

რა ესრეთ მტერნი მეგრელთა შეიქმნენ სისხლით დამბალნი,
მთავარმან სთხოვა მეფესა, წარვიდენ ზუგდიდს მაშრვალნი
„სარალო ბეგზეედ“ შეწუხდენ ლმობიერებით მავალნი,
და რომ ნახეს მტერნი და თვისნი დაჭრილ დაყრილნი მრავალნი.

მოვიდნენ ზუგდიდს მამაცნი მტერთა განპნევნი სრულებით,
სამღვდელო წესნი შემოხვდნენ სამღრთო სამოსთა რთულებით,
ღმერთსა მადლობა შესწირეს, აშვენეს ხატნი მკულებით
და გლახა და ქვრივნი აღავსნეს მოწყალებისა ბოძებით.

ღარჩა ორ კვირას იქ მეფე მტერთა ყოველთა მგმერალი,
ლხინობდა, მხიარულობდა, შეექცეოდა მღერალი,
ვითარ ლხინობდა, ნუ მკითხავთ, აქ შოთა უნდა მწერალი,
და ვინადგან მხოლოდ მას ეპყრა კალამი სულის მშერალი.

„შემდგომ ლხინისა ღაღიანს ჰრქვა იმერთ წინამძლოლელმან:
,,გარდავიხადე ხრესილის ჩხუბის გარდახდის მნდომელმან,
ვილხინე კარგათ მე ზუგდიდს საკმარი, იცის ყოველმან;
და აწი გამიშვი იმერქეთს ჩხმის გულისა მცნობელმან.“

„,მეფეო, ნება მოსვლისა სტუმრის არს,—უნდა იცოდეს,
მაგრამ მასპინძელს თუ არ სურს ტყუილა წასვლას ითხოვდეს.
მემასპინძლესა არ მივყარს, სტუმარი წასვლას იტყოდეს,
და ამისთვის სტუმრის რიგია, მასპინძლის ნებას იქმოდეს.“

ღიმილით ეტყვის: „გამიშვი, დღეს მივიღეო წერილი,
შექცევა, ლხინი გვეყოფა, მტერნი შენნიც არს გმერილი,
შენი დაცა შეიბრალე, უჩემობით არს შენნილი,
და არ დამაკავო აწი, გთხოვ, არ მყო მე მისგან თმენილი.“

ეტყვის: „,მეფეო, წაბრძანდი, გმორჩილებ ვითა მშობელსა.
მამაცსა, გმირსა, მღაბალსა, მეგრელთ კეთილის მყოფელსა,
საჩუქრად ჩემს გულს შეგწირავ ოდიშის კარგის მნდომელსა
და მასთან ასსა ყრმას მორთულსა თეორსა ცხენზედა მჯდომელსა.“

„მეფეო“, უთხრა, „კეთილი საჩუქრით არ გარდიხდების,
მაგრამ მეგრელთა გრძნობანი დღეს ძეგლად აღიმართების:

ეტყვიან ძეთა, ძის ძეთა, სამაგალითოდ დაშთების,
და არ განიხრწნების აროდეს, უმფტეს განიღიდების.“

მერმე იმერთა ჯართ ეტყვის: „ოქვენგან ნაქმარი ძვირია,
 საჩუქრით მე ვერ გარდვიხდი, ბევრიც რომ მოგცეთ, მცირია,
 ასი ტაიჭი კაზმული არაფრის არა მჭირია,
და ათასი ხარი და ზროხა მიიღეთ, დღეს ვარ მწირია.

ვინადგან, ძმანო, მთის ხალხთა არ მომცეს მოსვენებაი
ზავფანტე ყოვლი დიდება, მეგრელთ რომ მივცე შვებაი,
მქონდა მრავალი ურიცხვი,—არ ვარგა თავის ქებაი,—
და არ დარჩა ოქრო, არც ვერცხლი, არ მწამოთ ძუნწად გებაი.“

მეფე ეტყვის: „**დადიანო**, ჩვენ მეზობლობით გვიხმობენ,
 ვითარ არ ვიცით ამბავნი, მეგრელნი თუ ვით მყოფობენ,
 მეერნი საჩუქრისათვის **დადიანს** ვითა დაპერმობენ?
და ანუ კაციას პურშავად, ნუ იტყვი, ვითარ უხმობენ!

რა საჭიროა ბევრი თქმა, მეგობრობაი შენი მთნავს
 ძმისა იმერთა დედოფლის, რომელი ჩემთვის მთვარეს ჰგავს,
 მაგრამ ხვალ დილით გამიშვი, არ დაგავიწყებ ჩემსა თავს,
და თუ კიდევ მტერი მოგივა, იმერნი მეგრელთ დაიცვავს“,

იმ დღეს შეექცნენ, ილხინეს, ვითა იმერთა გვარია,
 მეორეს დღესა აღმხედრდენ, **დადიანიცა** მძღვარია,
 ზარვიდენ გმირნი მამაცნი, ნახეს კოლხიდის არია,
და მთა, ვაკე, ხენი ყურძნითა, მოსავალითა მყარია.

მსრეთ რა ნახეს კოლხიდა სამოხებრ ყვავილებული,
ოქროს ცხვარისა ნამყოფი, სიტურფით განშეენებული
 მიმტაცებელი გულისა, ბუნების წარმოებული
და უთხრეს მეფესა საზარო, გველთაგან გამოლებული...

მტკვინ: „მეფეო, ისა სჯობს თქვენ რომ გქონდესთ მენგრელია,
ცისაგან აღმორჩეული, საკვირველების მრთმელია,
მუშნიერების წალკოტი, გრძნობათა განმცხრომელია,
და რა საჭიროა თქვენს მიტი ბატონობისა მთქმელია.“

დადიანს ესმა ესე, ჰსთქვა: უბედურება მჩქეფარებს,
თუმცა ვარსკვლავებრ მეფისა გული ღვთის ხელთა მდებარებს,
მაგრამ რე არის ადამის, შეცოომის სისხლით მგებარებს,
და იქმნება, შესცდეს ვით კაცი, რა სამეგრელო მქებარებს.

ამისთვის ბოლოს იფიქრა... ჩრდილოისაკენ დამართა,
ორ-თავიანსა არწივსა რუსეთისასა მიმართა,
მან თვისის უხვიერებით ფრთა ფარად მისად გამართა,—
და ესრულება ამბავი, რუსმან ეს სჭერებელი დაგვმართა.





გვალი და კაცი.



ტყესა სწვიდა, მოსდებოდა ჰეთერისა ცეცხლის ალი,
შვაშიდ გველიიღვლარწნოდა არსით ქონდა წასავალი,
იწვებოდა განგებისგან, დასდებოდა ბევრი ვალი,
ბაგრამ კაცი იხლოს შეხვდა მეზობლისას მიმავალი.

მტერს, მოყვარეს მაშინა ვსხოვთ, ოდესცა გვაქვს გაჭირვება,
გველმან კაცსა მომავალსა სთხოვა მისი მოხმარება:
ძაცსა გველი შეეწყალა, თუმც იგ ნამუსს ემტერება,
გამოიხსნა ცეცხლისაგან, მისცა გულის გახარება.

წარსულს ქმნილსა არ დავეძებთ, არ გვაქვს მასზედ ცეცხლთა დება.
ზასაჭირის შემდგომ ყევლა ნამსახური გვავიწყდება,
თუმც გონიერთ ეს ესრედ გვჭირს, გველისგან ვინ გაკვირდება,
რომელიცა სისხლისათვის სურვილითა ბევრჯერ კვდება.

გველმან უთხრა გამოხსნილმან: „მე ჭია ვარ მანკიერი,
ბაგრამ ნაცვალს გარდაგიხდის ღმერთი ღმერთთა სახიერი,
ბოდი ყელზედ მაკოცნიე, თუმცა მე ვარ ბიჭიერი,
ბაგრძნობინო, გველმაც იცის სამსახურის მაგიერი.

ძაცი ვითარ იფიქრებდა, ცხოველს ღმერთი არა სწამდა,
ქეთილისა ნაცვლად ვინმე თუ ბოროტსა მას უზამდა,

შყისად თავი მოიღრიკა, გველს ქედზედა დაისვამდა,
ზველმან ყელსა მოუჭირა, გველისაგან ვითა ჰხამდა.

ქაცა ეტკინა, შესძახა: „არ იქმნე შენ უგრძნობელი!“
შან უთხრა: „ბრიყვო, რას ლაყბობ, გიფი ხარ და უცნობელი,
ქაცი გველმან ხელთა ვიგდე, ვითარ ვიქმნე მე მღბობელი,
აქამდის ვით ვერ გვიცანით, ჩვენ რომ ვართ დაუნდობელი?“

ქაცმან უთხრა: „ცეცხლისაგან გიხსენი, მიჭვც შვებასა,
ოდესუა გიხსენ, მეტყოდი შენის ენითა ქებასა,
ძოცნა მითხარი ტკბილის თქმით, დამპირდი დიდსა რგებასა,
ნუ უმე არ მოიგონო და მიმცე გამწარებასა.“

პასუხად ჰსონება: „რისთვის მყნდვე გველსაძველიდგან ვემტერსა,
ტკბილი სიტყვა თუ გითხარი, ვილესავდი კბილს მშიერსა,
რომ დაგპირდი აღგისრულებ, ვიქმ კეთილის მაგიერსა,
შეგვამ სრულად, არ დაგარჩენ, ლხინსა ვიზამ გემიერსა.“

რა ეს ჰსონება, მოუჭირა და დაარჩო გამომხსნელია,
თუმცა მხსნელისა დარჩობა გასაგონათაც ძნელია,
გაგრამ დამრჩობი, თქვენც იცით, კაცთა ნათესავთ მკვლელია,
ნუ გამოიხსნით ცეცხლისგან, რომ იწვებოდეს გველია.



3060.

ირი ველზედ ბალახობდა ორი თუ სამი დღეო ჭ
მოსვენებისა ამიღით სიმსუქნის ზეთი სწვეოდა,
თავისუფლებას ჩემობდა, იშვებდა შეექცეოდა,
და არ ეკადრებას სხვა გირთა, რა გვარად ის იქცეოდა.

მშვანითა იყო ალსაცვე იგი ლამაზი მინდორი,
იგვრდივ ტყე იყო, ახლოს ტბა, მათზედა შუა და გორი,
სკვინჩაცა დაჭიკვიკობდა ძავკასიის ერთი, ორი,
და არა თუ ვირი იქ ყოფნას არ დაიწუნებდა ჯორი.

Ցուց 3-ը հայտնի օմ արյու զորո դպիքսա ածոյշեծլա,
Հարծութա, ելութութա, ոլուցնելա, տամա՛՛մածլա և ո՛վայեծլա,
Թիշանցս Ֆուրու գոյացութա, արհիցը և Ֆուրու ուղեծլա
Հա զորմանց լու ուրու գանցերոմա, տոմու բոնմյ դաշոյշերեծլա.

სვიანი დროს არ დაეძებს, სმა-ლხინსა არ ანგარიშობს,
რაცა სწალს, ბეღი უხვია, არ გარჯის, წინა დაუსობს,
მასზედა ნეკტარს, მანანს ვითა ცა წვიმის დაუშობს
და ბეღი ვირს ელაციცება, მყისად წალკოტში შეუშობს.

Ցործ ծցըսա մոյնլոնքա, ծցըսու հցորդալ շլալաւցես,
Ցասլովիցես, ցալալցես, ხան եղբարոնքու ցածուցես,

ბევრსა რასმე სხვა და სხვასა ვირს ვირულსა მოუმატებს,
და მაგრამ მისი ყურის ქნევა რას ნიშნავს, არ განუმარტებს..

ბედი ვირზედ რომ შეჯდება, შეხედო ბედაურია,
წვივ-მავარი, მოქინდრული, მოქინჩული და გმირია,
ახლოს მისვლა, მიკარება ძნელი და გასაჭირია,
და მაშინ აქებენ ყველანი, ვინ იტყვის, რომე ვირია.

მრთი რამ ბედსა შეკნიშნე, ოდეს ვირსა ესტუმრება,
არა შურს მისთვის ფაშობა, სასახლე, ქება, დიდება,
მაგრამ თუმც იწყო გალობა, მას ერთობ არ იამება,
და ამისთვის ჩემსა მუტრუქსა ხან და ხან გაუჯავრდება.

მსე აქვს, ვგონებ, მიზეზად, რა ბევრსა მოთოვს წყალობას,
თორემ ყვირილი ვირისა სჯობია კიდევ წიხლობას,
მე ბევრი ნაზი მინახავს, ეტრფოდა ვირის გალობას,
და აქ შევეწიოთ ჩემს ვირსა, ვსოდეთ: ნიშნავს დაუდგრომლობას.

შკვიანსა არ ეკარება, ბედია დაუდგრომელი,
შკუამ იცისო, ის ამბობს, ბედი და მისი სოფელი,
შრინავს ოქროსა ფრთხებითა ლამაზი განსაკრთომელი,
და ოდეს ვირს ეხალისება, ვირსა მორჩილებს ყოველი.

ჩემო მკითხველო, იხილე ჩემის კალმისა ბავშობა,
მე არ მიჯერებს, შენ მაინც უბრძანე, გიჟი რას შობა,
ბედი ვირზედ რომ შეჯდება არ შურსო მისთვის ფაშობა,
და არ იცის, რომე არ ვარგა ასე თავისა აშობა.

რა ვუყო, ჩემი არ ესმის, არაფერს არ დამიჯერებს,
თეთრსა საღაფის ველზედა ყმაწვილია და იხარებს,
თამაშობს, აწყობს დას-დასად, თემად და თემად შაირებს,
და თქვენს თავს ვიფიცავ, ხან და ხან მეტისა თქმითა მაჯავრებს..

ხან გიუი არის, ხან ბრძენი, ხან მიჯნური და ხან გმირი
ხან ახალ—დაბადებული, ხან ავაზაკი და გზირი,
ხან მაღლა მფრენი არწივი, ხან გვრიტი უცხო და მწირი,
და მე მისი ვერ გამიგია, შევჩერებივარ და ვსტირი.

80ნა სთქვას მისნი საქმენი, სადაურს ხესა სად დარგავს,
მს ვერ ვანიშნე ლალამან, დამალულს ყარყუმს რა მოჰკლავს,
აწ კბილი ბედსა მოავლო, ვიცი, გააძრობს იგი ტყავს,
და ვერ მიმვხდარვარ და არ ვიცი, რა გვარია და რასა ჰგავს.

აწცა შეხედეთ, ამ თქმაშიდ ქვემო რა დაუწერაა,
8ირი არისო ფერით და სიმარლით ირმის გერია,
ნება მისია, დასწეროს, მე რჩევით ჰქუა მერია,
და რაცა ერჩიოს იგი სთქვას, მას ჩემგან ჯვარი ჰსწერია.

10 ამბობს, ვითომ, იმ ველსა იგივე ბედი მთავრობდა,
რომელი მისსა მუტრუქსა ასუქებდა და ყვარობდა
ყვავილის მწვანის აფუშვას, წახთენას არვინ მჯავრობდა,
და ვირი ვირულად ვირობდა, რას დაეძებდა, ხარობდა.

11 ტყვის, რომ დარღი არა აქვს, ბალახობს, არ კბენს მწერია, ¹⁾
პოტრიალობს და მას შვრება, რაცა ვირისა ფერია,
ბარღახლტება და წიხლს ზე ჰყრის, რა უჭირს, ბეღნიერია,
და სიმარლით, ფერით, ნუ სცინით, ვირი ირმისა გერია.

აწე მოსწყინდა მწვანე და გემო ია-ნარნარისა,
12 იასამანის ტანი და ზამბახი იმა არისა,
ფოთოლი, მოლი და სვინტრი თავისუფალის ბარისა,
და ყვავილთ დედოფალს დაუწყო მიჯნურეობა გვარისა.

1). მწერს იმერნი ბუზს უხმობენ.

პირი მოავლო, უნდობა მასი კოცნა და მოკრეფა,
სწალდა სვიანსა, რათამცა ყვავილებზედაც იმეფა,
რა ნახა პარი ვირისა, შეკრთა, შეშინდა ის მეფა,
და უბრძანა: „სადა გინახავს, რომ ვარდმან ვირზედ იეფა.“

ბრძანა და ნემსი რამე ჰქრა ვირისა ბაგე ნარნარსა,
ასეთი დაიღრიალა,—ღმერთო! რა გმირი მხნე არსა!
ბედმანცა ჩაუფუჩქნა, არ შვერის ვარდი მის გვარსა;
და გაიქცა, მირბის და სწყევლის გორა-მინდორსა და ბარსა.


დასუსტუ ერთის ნემსის კერით, არა აქვს ღონე და ძალი,
შამოწვა ძირთა ხეთასა, ვითომც დაჭრილი და მკრთალი,
ბედი თავს უვლის და მოაქვს სხვა და სხვა გვარი წამალი;
და ოხ, კარგო ჯოხო, სადა ხარ? შენი სჯულია მართალი.

შევს, თვალს არ ახელს, შეხედო, გაგეცინება, მკვდარია,
აღმოიოხებს ხან და ხან ახე, რომ შესაზარია,
ხან და ხან უყრისაც დააქნევს, ეს მათეული გვარია,
და სულ მისი ყოფა და ქცევა თავისუფლების ბარია.

ჰსტირს, კვნესის, ტკივა და შფოთავს, ვითა ნარნარი ჩჩილია,
ბედმან წამალი დაადვა სამკურნალო და ლბილია,
ურჩია, სჯობს, რომ წარმოდგეს დიდის გვარისა შვილია,
და იხმიოს რამე საზრდოო, ნუ არის ფერ-შეცვლილია.

ცრიად იამა, რომ ესმა დიდის გვარისა შვილობა,
შამოდგა მძიმედ და წყნარად, იხმარა დიდი ზრდილობა,
მიმოიხედა იგვრდივად, ნახა მწვანილთა შლილილობა,
და ზარმაცად კვნესით დაიწყო შექცევა და სადილობა.

პირი რა მოსდვა მწვანესა, თურმე არ ჰსტკივა მას ბაგე.
სინაზისაგან შეემთხვა კვნესა, ტკივილი მას აგე,



4 5 8 0 3 0.

ალკოლტი მომცა ყვავილით საცხე
და შადრევანი ტურფა, მდიდარი,
არ იყოს სიცხე, არცა სიცივე,
არც წვიმა, თოვლი, არც სცემდეს ქარი,
~~შიგან კეკლული შუქ-მოიფე~~
ხარობდეს ვითა ზაფხულის დარი
და გულის დარდის მეიავარე
ახლდეს წყობილი ინდოთა ჯარი;
იქა მონანი, ათასნი ყმანი
მახლდნენ მკერდ-სირმა-კაბაიანნი,
ძოლხიდეს კრავნი ოქრო-თმიანნი,
ფრჩხილნი და რქანი ფირუზიანნი,
ლამაზნი ქალნი მორთულ ძვირფასნი,
პირად მცინარნი, ალმასიანნი,
მოთამაშენი, მოკამათენი
მეწინწილენი კეთილ-ხმიანნი.

შემდგომ ამა წადილისა სთქვა:

Պալու ջամարհութեան, Եցկեղուրա ջամֆայս,
Ցիա ջամլալայս և Արպա ցանմծօհայս,
Հոես Կորհը մարտինս, Եմալու Մարգարիտ,
Ռիսարու մռայլայս, մշա ցամիւրքէս տաչս,

სიცხე ცივებას, სიცივე ვნებას,
ნელ-ნელა წუთი სიცოცხლეს მპარავს,
მატლიც რომ შემჭამს, რას ვიგდებ მე თავს,
ღმერთო, შეგცოდე, დუმილი სჯობს თქმას.

— * * * —



ნავოლორნი.



ორსიქანელი მამაცი სფერას რაცხს დამცირებულად,
ზრანცის საზღვარს ჩრდილომდე ის გონებს შეიწრებულად
იბძარვის მეხი მეფეთა, სწერს არწივს აღშფოთებულად:
და, პოლშით აღფრინდი, თორემ მას ცეცხლით ვჰყოფ მითვისებულად.“

ორ-თავიანი არწივი ჰესტერს პასუხისა მგებელი:
„უსამართლოდ გვირგვინისა არ მიყვარს მიმჩემებელი,
პოლშა მიპყრიეს მახვილით, ვინ არის მიმტაცებელი?
და ცეცხლითა რადგან მუქარობ, წყალია დამავსებელი.“

როს ესმა ესე სასტიკსა, ცეცხლისა დროშა გაშალა,
მოენთო მთასა, ვაკესა, ქვეყნისა ძალნი დაშალა,
გზაზედ მეფენი მონა ჰემნა, გვირგვინისაგან გასცალა,
და ჩრდილოს არწივსა მოადგა, პოლშა რუსეთით განწვალა.

ვით მთამან ცეცხლის მშობელმან აღმოსპო წინა მდგომელი,
შეაიწროვა ყოველი ძალი ცის ქვეშე მშრომელი,
ასეტყვა ცეცხლი, აღმოსწვა მოსკოვი რუსთა მშობელი,
და არ დარჩა სიბრძნე, არც ძალი წინა მეწყვვ ჯართა მწყობელი.

განაგრძო ესრეთ სიმძაფრე, დამწველობად ჩრდილოზედ,
ორთავიანის არწივის იგულვა ჯდომა ტილოზედ,

ზარნა საზომი სიბრძნისა გარდვიდა სიბრძნის კილოზედ,
და გარდასწყდა ცაშად ესრეთ სჯა, ველარ იმეფლს ჩრდილოზედ.

ამისთვის ჩრდილოს აჩწიგმან განდევნა მრავალ-ყმიანი,
სპანი აღუსპო, და შრიტნა დროშანი ცეცხლის ფრთიანი,
დააცხრო გული სახმილის და თავი ძლევით რქიანი,
და კუნძულშიდ მისცა სამეფოდ ბოსტანი მწვანილიანი.

ესრეთ დაეცა, მკითხველო, ქვეყნის ღმერთობის მძებნელი,
მეფე მეფეთა დამხაგრი, სიმხნითა განულეველი,
სამაგალითო ყოველთა, საფლავით მქადაგებელი,
და რომელ სიმაღლე დაცემის ნაყოფად არის მცენელი.



ს ი ფ ე ლ ი.

შ ს ჭ რ ე ტ ს ო ფ ე ლ ს დ ა ფ ი ქ რ ე ბ უ ლ ი
მ ე მ ი ს გ ა ნ გ ა ნ ვ ი რ ვ ე ბ უ ლ ი .

ვ ი ნ ი ც ნ ი ს ძ ვ ა ლ ნ ი , მ თ ყ ვ ა ს ნ ი , ც ე ც ხ ლ ი თ ა ძ ა ლ თ ა დ ა მ წ ვ ე ლ ი ს ,
ს ა ს ტ ი კ ი ს მ ე ხ ი ს , მ ე ბ რ ძ მ ლ თ ა მ ე ფ ე თ ა კ ვ ე რ თ ხ ი ს მ ტ ვ რ ე ვ ე ლ ი ს ,
დ ე ს პ ი ტ ი ს , გ მ ი რ ი ს , ა მ ა ყ ი ს , ს ი მ ხ ნ ი ს ა ს ი მ ხ ნ ი თ მ ლ ე ვ ე ლ ი ს ,
დ ა ს ა ძ რ წ უ ნ ი ნ ა პ ი ლ ე ო ნ ი ს , ღ ი დ თ ა მ ე ფ ე თ ა მ ძ ლ ე ვ ე ლ ი ს .

ვ ნ ა ხ ე მ ე ძ ვ ა ლ ნ ი , ვ ე რ ვ ი ც ა ნ , პ ი მ პ ე ი ს დ ა მ ა მ ხ ი ბ ე ლ ი ს ,
ძ ლ ი ე რ ი ს გ მ ი რ ი ს კ ვ ე ს ა რ ი ს რ ი მ ი ს ბ რ ჭ ყ ა ლ ს შ ი გ ა ნ მ ჰ ყ რ ი ბ ე ლ ი ს ,
ს ა ხ მ ი ლ ი ს ს ა ს ტ ი კ დ ა მ წ ვ ე ლ ი ს თ ა ვ ი ს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი თ მ კ ო ბ ე ლ ი ს ,
დ ა ა მ პ ა რ ტ ა ვ ა ნ ი ს , მ ა მ ა ც ი ს , ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ფ ლ ი ბ ე ლ ი ს .

ვ ი ნ ი ც ნ ი ს ძ ვ ა ლ ნ ი გ ა ძ რ ც ი ლ ნ ი ც ი ც ე რ ი ნ მ ჭ ე ვ რ - მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა .
ა ლ კ ი ვ ი ა დ ი ს ლ ა მ ა ზ ი ს , ს კ უ რ ა ტ ი ს გ რ ძ ნ ი ბ ი ს მ წ ვ ე ლ ი ს ა ,
მ უ კ უ ლ ი ს ვ ე რ ც ხ ლ ი თ მ დ ი ღ რ ი ს ა , ო ქ რ ი ს ს ა მ ი ს ი თ მ ვ ლ ე ლ ი ს ა ,
დ ა მ ი ლ ც ი ი ს მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი ს , მ შ ი ბ ლ ი ს ა თ ი ნ ი ს მ ც ე ლ ი ს ა .

ვ ი ნ ი ც ნ ი ს ძ ვ ა ლ ნ ი შ ი შ ვ ე ლ ნ ი ღ ი ღ დ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე შ ვ ე ბ უ ლ ი ს ,
ს პ ა რ ს ე თ ი ს ძ ა ლ თ ა დ ა მ ლ ე ჭ ი ს , პ ი რ ფ ი რ ი თ გ ა ნ შ ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ს ,
ო ბ ი ლ თ ა , ქ ვ რ ი ვ თ ა შ ე მ წ ყ ნ ა რ ი ს , ს ი გ მ ი რ ი თ გ ა ე ლ ვ ე ბ უ ლ ი ს ,
დ ა თ ა ვ ი ს მ ი ყ ვ ა რ ი ს მ ა მ ა ც ი ს ძ ე დ ზ ე ვ ს ი ს ს ა ხ ე ლ დ ე ბ უ ლ ი ს .

Ցյ՛ր զօպան մցալնո ցամեմարնո կլոյածաւր ցանձարացըլուսա,
Քռարնելուաք վերիցուսա, Ցոմէցուս ցուլուս թվացըլուսա,
ԱՏՎԱՑՈՒԱ ու ՏՐԱԳՈՒՍ Ցերիկլուս ցուլս մոմկարելուսա,
Ջա Ցոմէցուս Կռունուս կլոյացուս մաժացըլուսա.

Տաճա առս ցեցուցեննո ցմուննո դա մեղյ պեծելուննո,
Ցանուցարնո, Ցրեննո, Ցունցուննո, Կայկլուպնո ցացլացըլուննո,
Ցոն ուրնուս մցալնո, Ցուցասնո, Մաժլուտացան ցա՛շո՛Շալացըլուննո,
Ջա յրտու պայլա Տագլացըլուննո Տուլուսա դածացըլուննո.

ՑԱՌԵՐԵՐ Տագլուս Հագոյիրեմըլուն
Ցյ Ցուցան ցանցուրեմըլուն.



ს ო ფ. ძ ო ყ ო.



ე აღვიზარდე, სადაცა ველნი ლხინითა მწვანობენ,
ჩახ-ბალახ ფურცლით მოსილნი. ედემის წალკოტს მგვანო
გარემო მათსა მთა სამნი კრონის ღრუბელსა ზეობენ
და მთიებნი ჰსჭრეტენ, ღიმიან, შუქსა აფრქვევენ, ნათობენ.

შვემ ხობის წყალი მოცარბის და გჯება კლდისა ქვებითა,
მოლრიალობს და მორიხავს გაჭირვებული რებითა,
იფქვება, მყისად შედგება, იძახის გამწარებითა,
და მშობელთა მთათა შეველასა შესტირის დავედრებითა.

მთანი თხოვნასა ვერ გრძნობენ, მეგრამ ისინიც გოდებენ,
ვით კლდისა ქვაბნი შთამძახთა იმავ პასუხსა უგებენ,
ბგერენ, ოხვრენ და ბლავიან, ვითა მშობელნი ვაებენ,
და მაგრამ ნაწლევნი და გრძნობა მთათა ქვისამებრ ქვავებენ.

ამას გარდასცეკერს დღე და ღამ ფაცხა ჩალ-სართულიანი,
დარიბი, უნდო, უმანკო, კედელი წკნელ-წვრილ-ხიანი,
ჩემი გამზდელი და ჩემი ველ-მწვანებაღახიანი,
და ჩემი თვალ-შავი ღულუნა, ფერ-ელვა, გრძნობა მზიანი.

თუმც მინდორი საზრდოს მისცემს იქ მცხოვრებთა ქალ-ყმა
მშვიდთა,
მაგრამ მთანი ვერ იგრძნობენ მვედრი მდინარ ცრემლთა ცივთა.

უნდო ფაცხას ოლარ ესმის. უჭვრეტს ზევით მზისა სხივთა,
და ჰკარგავს ამით ხობის წყალი მწუხარების ცრემლის მძივთა.

მარტო მე მესმის მათშორის მათსა გაზრდილსა საბრალოს,
მაგრამ კალამსა ვუბრძანე, არავის უთხრას, დამალოს,
რა საჭიროა, ურგებად მან წვერნი ტყულად დაღალოს,
და მლინარე მრწყველის ქვისაგან გალახვა დღეს რომ დასთვალოს.

რაც იყოს, იყოს, დაიყოს, რაცა ჰქმნან, ვერ მოვშორდები,
სუსტი ვარ მათწინ ვით ჩხვილი, მათ ფეხ ქვეშ დავუვარდები,
ცოტა მთა-ქვათა მაწყინეს, მაგრამ ერთგულად მოკველები,
და სამშობლო ჩემი სოფლისთვის საომრად ყოვლგნით გავჩნდები.

* * *

მარტო ვარ, არ მიამება, ვინც თვით არ მნახავს, წვევანი,
ვკითხულობ შოთას შაირთა, სხევისი რა და მინდა სდევანი,
მომწყინდა ცუდი სოფელი, იქა-აქ ცულნი თრევანი,
ძალებთა ცრუთა, გაქნილთა რხევა და თვალის ქნევანი.

ოდესუა ვიყავ ჭაბუკი, თავშიგან ჰქროდა ქარია,
რა დავინახე კეკლუცი, ვიტყოდი: აპა დარია!
ფერი მკრთხებოდა და გულსა ბძარვიდა ისართ ჯარია,
წალკოტში დავლილინობდი მე გიში გულ-შემცდარია.

მრთ-გზის მომეცა მე ვარდი ტურფა კეკლუცის ხელითა,
გიხილე მშვენიერება ტან-ალვა ტურფა წელითა,
მაგრამ გრძნობად ილევსო საზარო რამე გესლითა,
ხმა მესმა ჩემის გონების: „განსწყებლე წვრილის წკელითა!“

შემდგომად ამის არ ვიცი, განვგრძნდი, თუ ჰქუა მელია,
გბაასობ, ვსწერ, თუ ვიხარებ, გონება ამის მთქმელია
თუ დაახელო კეკლუცი თვალისა დამქნეველია,
